კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქალაქი თბილისი, თავისუფლების ქუჩა № 14ბ, ს/კ: 01.72.12.130.003, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საგანი:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში

საპროექტო ცხრა სართულიან შენობას აქვს ორი მიწიქვეშა სართული (პარკინკი). 100 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილით ის დაფუძნებულია ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხნარებზე.

საპროექტო ტერიტორიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, საკადასტრო კოდით 72.12.03.060 და მისამართით ქალაქი თბილისი, გოჩა ცქიტიშვილის ქუჩა №35, ემიჯნება წყლის სატუმბო შენობა. ნაგებობა საპროექტო შენობიდან დაცილებულია 12,5 მეტრით და დაფუძნებულია ლენტური ტიპის საძირკვლებზე. ის არ ფუნქციონირებს და ექვემდებარება დემონტაჟს.

ყველა სხვა შენობა-ნაგებობა, რომლებიც განლაგებულია მომიჯნავედ მდებარე ნაკვეთებზე, საპროექტო შენობიდან დაცილებულია 20 მეტრიან რადიუსზე შორს და მოცემულ კვლევაში არ განიხილება.

დასკვნა:

საპროექტო ობიექტის მშენებლობის წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ.,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია

თბილისი 04-04-2023